



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-322/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო  
ორგანიზაციის „ეროვნული დემოკრატიის საზოგადოებრივი დარბაზი“ დამკვირვებლების  
რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 18 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვათ დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის „ეროვნული დემოკრატიის საზოგადოებრივი დარბაზი“ წარმომადგენლებს ვინაიდან:

1. მათა ჯანაშია - დანიშნულია საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ მიერ წარმომადგენლად №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №74 საუბნო საარჩევნო კომისიაში;
2. ნიკოლოზ გოგიაშვილი - დანიშნულია საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ წარმომადგენლად №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №74 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი